



**ვენეციის კომისიის დასკვნა მართლმსაჯულების ხარვეზების
შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შესახებ საქართველოს
კანონპროექტის თაობაზე**

27 ივნისი, 2013

CDL-AD(2013)13, დასკვნა # 728 / 2013 (არაოფიციალური თარგმანი)

ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია)
ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის
სამართლიანობისა და ადამიანის ღირსების დირექტორატი

ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის
უზენაესობის გენერალური დირექტორატის სამართლიანობისა და ადამიანის
ღირსების დირექტორატის (გგ I)
ერთობლივი დასკვნა

**მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის
შესახებ საქართველოს კანონპროექტის თაობაზე**

მიღებულია ვენეციის კომისიის მიერ მის 95-ე პლენარულ სესიაზე
(ვენეცია, 14-15 ივნისი 2013 წელი)

ბ-ნ. ნიკოლაე ემანუელ (კომისიის წევრი, მოლდოვა)

ბ-ნ. ჯეიმს ჰამილტონის (კომისიის წევრის შემცვლელის, ირლანდია)

ბ-ნ. ანგელ სანჩეზ ნავარო (კომისიის წევრის შემცვლელის, ესპანეთი)

ქ-ნ. ჟანნე ქრისტიანსენის (ექსპერტი, გგ I) კომენტარების მიხედვით

სარჩევი

- I. შესავალი
- II. წინასწარი შენიშვნები
- III. ევროპაში კომისიების მაგალითები
 - ა. ინგლისის, უელსის და ჩრდილოეთ ირლანდიის სისხლის სამართლის საქმეების გადახედვის კომისია
 - ბ. ნორვეგიის სისხლის სამართლის საქმეების კომისია
- IV. კანონის ანალიზი მუხლების მიხედვით
 - თავი 1. ზოგადი დებულებები
 - მუხლი 1. კომისიის მიზნები
 - მუხლი 2. მართლმსაჯულების ხარვეზის ცნება
 - მუხლი 4. დამოუკიდებლობა, იმუნიტეტი, პრინციპები
 - თავი 2. შემადგენლობა, უფლებამოსილების ვადა, კომისიის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა
 - მუხლი 6. შემადგენლობა, უფლებამოსილების ვადა, მოთხოვნები კომისიის წევრის მიმართ
 - მუხლი 8. უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა
 - მუხლი 9. კომისიის პლენუმი
 - მუხლი 10. კომისიის თავმჯდომარე
 - მუხლი 11. კომისიის კოლეგიები
 - მუხლი 13. ინტერესთა კონფლიქტი
 - თავი 3. საჩივრის განხილვა კომისიაში
 - მუხლი 15. საჩივრის წარდგენის წესები
 - მუხლი 17. დასაშვებობის კრიტერიუმები
 - მუხლი 18. საჩივრის დასაშვებობა
 - მუხლი 19. საჩივრის არსებითად განხილვა და დასკვნის პროექტის მომზადება
 - მუხლი 20. დასკვნის პროექტის არსებითად განხილვა
 - მუხლი 21. კომისიის დასკვნის გადაგზავნა მომჩივნისთვის
- V. დასკვნა

I. შესავალი

1. 2013 წლის 14 მაისის წერილის თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორისგან მოითხოვა დასკვნის მიწოდება მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შესახებ კანონპროექტის თაობაზე (CDL-REF(2013)024).
2. მომხსენებლები გახლდნენ ბ-ნ. ნიკოლაე ეშანუ, ბ-ნ. ჯეიმს ჰამილტონი და ბ-ნ. ანგელ სანჩეზ ნავარო. ქ-ნ. ჟანე ქრისტიანსენმა, ნორვეგიის სისხლის სამართლის საქმეების გადახედვის კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ, წარმოადგინა

საექსპერტო დასკვნა სამართლიანობისა და ადამიანის ღირსების დირექტორატის მოთხოვნის საფუძველზე (შემდგომში დირექტორატი).

3. ვენეციის კომისიამ ასევე მიიღო კომენტარები საქართველოს უზენაესი სასამართლოსგან (CDL-REF (2013)026).

4. მოცემული დასკვნა განიხილეს სასამართლო კორპუსის ქვეკომიტეტში და, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილესთან – ბ-ნ. ალექსანდრე ბარამიძესთან აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ვენეციის კომისიამ მიიღო აღნიშნული დასკვნა მის 95-ე პლენარულ სესიაზე (ვენეცია, 14-15 ივნისი 2013).

II. წინასწარი შენიშვნები

5. 2012 წლის 21 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ამნისტიის კანონი, რომელიც შეიცავდა დებულებას პოლიტიკური პატიმრების შესახებ და რომლის შედეგადაც გათავისუფლდა დაახლოებით 200 ე.წ. პოლიტიკური პატიმარი.

6. ამნისტიის კანონის მიღების ზოგადი კონტექსტი დელეგაციას აუხსნეს თბილისში შეხვედრების დროს, რომლებიც გაიმართა საქართველოს ამნისტიის კანონის^[1] შესახებ დასკვნის მომზადების ფარგლებში და გამოიხატება შემდეგში: 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა ამტკიცებდა, რომ დაკავებული იყვნენ პოლიტიკური მოტივებიდან გამომდინარე, მათი პატიმრობის პირობები იყო მძიმე და არსებობდა პატიმრების რაოდენობის შემცირების გადაუდებელი საჭიროება.

7. ამნისტიის კანონის შესახებ დასკვნაში, ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ „პარლამენტის მიერ გამოცემული ამნისტია უნდა შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობის ძირითად ფუნდამენტურ პრინციპებს, კერძოდ კანონიერებას (მათ შორის გამჭვირვალობას), თვითნებობის აკრძალვას, არა-დისკრიმინაციასა და კანონის წინაშე თანასწორობას. ვენეციის კომისიას მიაჩნია, რომ ამნისტიის კანონის 22-ე მუხლი არ შეესაბამება აღნიშნულ პრინციპებს. მიუხედავად ამისა, სადავო არ არის, რომ განთავისუფლებული პირების უკან ციხეში დაბრუნება იქნებოდა სამართლის განსაზღვრულობისა და სისხლის სამართლის უკუძალის აკრძალვის საწინააღმდეგო.“^[2]

8. დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ „საქართველოში ვიზიტის დროს, ვენეციის კომისიის დელეგაციას შეატყობინეს, რომ ამჟამად კვლავაც დიდია საქართველოს ციხეებში მყოფი იმ პირების რაოდენობა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დაპატიმრებული არიან პოლიტიკური მოტივებით. მათი საქმეების შესასწავლად უნდა შემუშავდეს რაიმე მექანიზმი, რომლითაც საქმეში ჩაერთვებიან სასამართლოები. ამ მექანიზმში გამოყენებული კრიტერიუმები უნდა იყოს საჯარო, მათ შორის ის კრიტერიუმები, რომლებიც წარსულში გამოიყენებოდა.“^[3]

9. მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის თაობაზე საქართველოს კანონპროექტის (შემდგომში „კანონპროექტი“) პრეამბულა ზუსტად ასახავს ამნისტიის კანონის თაობაზე ვენეციის კომისიის დასკვნას და მიზნად ისახავს მსგავსი მექანიზმის უზრუნველყოფას.

10. კანონპროექტის პრეამბულის მიხედვით „2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ათასობით საქართველოს მოქალაქემ, უცხოელმა, ან მოქალაქეობის არმქონე პირმა შეიტანა საჩივარი საქართველოს პარლამენტში, სადაც აღნიშნეს, რომ 2004-2012 წლებში ისინი უკანონოდ და/ან არასამართლიანად სცნეს ბრალეულად სისხლის სამართლის დანაშაულებში” და შემდგომში აღნიშნავს, რომ „საქართველოს მთავრობის განზრახვაა, რომ აღადგინოს კანონი და სამართლიანობა იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც უკანონოდ ან/და უსამართლოდ გაასამართლეს, და ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა შეიქმნას დამატებითი და დროებითი საკანონმდებლო მექანიზმები.”

11. საქმეებში სავარაუდო მართლმსაჯულების ხარვეზების არა-სასამართლო ორგანოს მიერ შემოწმების პროცესი წინ წამოწევს ისეთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ ხელისუფლების დანაწილებასა და სასამართლოს დამოუკიდებლობასთან. ის შესაძლოა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იქნეს გამოყენებული. თუ საქართველოს პარლამენტი მიიჩნევს, რომ დღეს საქართველოში სწორედ მსგავსი გარემოებაა შექმნილი, მაშინ აშკარაა, რომ მხოლოდ საქმეების გადახედვა მართლმსაჯულების სრულფასოვანი რეფორმის გარეშე არ იქნება საკმარისი. ნებისმიერ მსგავს ზომას თან უნდა ერთვოდეს სასამართლოს უფრო ფართო რეფორმა მისი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის განსამტკიცებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კანონის უზენაესობა არ შესუსტდეს ისეთი ღონისძიებით, რომელსაც ზოგიერთი აღიქვამს, როგორც პოლიტიკურად მოტივირებულს, რადგან აღნიშნული და სხვა შემოთავაზებული დებულებები, რომლებიც ხაზს უსვამენ მათ პოლიტიკურ ბუნებას, მხოლოდ მართლმსაჯულებისა და სასამართლო სისტემის დისკრედიტაციამდე მიგვიყვანს.

12. საქართველოს კონსტიტუციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მისი პრეამბულის მიხედვით არის კანონის უზენაესობა. ევროპული დემოკრატიული ტრადიციის თანახმად, საქართველოში „კონსტიტუცია არის სახელმწიფოს უზენაესი კანონი” (საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი), და „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით” (მუხლი 5.4). გარდა ამისა „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.” საერთაშორისო ნორმებისადმი ამგვარი გახსნილობა არის ის, რომ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას... აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.” (მუხლი 6.2, 2001 წლის 30 მარტის კონსტიტუციური კანონით შეტანილი ცვლილების შემდეგ).

13. ეს პრინციპი ნიშნავს, რომ საქართველოში „პარლამენტი (...) არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს” (მუხლი 48).

პარლამენტთან ერთად, დანარჩენ ორ ხელისუფლების კლასიკურ შტოს აკისრია კლასიკური ფუნქციები. კერძოდ, სასამართლო ხელისუფლება „დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები,“ რომელთაც „გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით“ (საქ. კონსტიტუციის 82.3 და 82.4 მუხლები). რა თქმა უნდა, სასამართლოს დამოუკიდებლობა, ზემოხსენებულის გარდა, ასევე გულისხმობს, რომ მოსამართლე თავის „საქმიანობაში... ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით, და ასევე და სხვებთან ერთად, რომ „სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით. (მუხლი: 84.1 და 81.5).

14. საქართველოს ხელისუფლების მიდგომა, რომელიც ამ პროცესში რთავს არასასამართლო ორგანოს, შეესაბამება ხელისუფლების იმ შეფასებას, რომ მთლიანი სასამართლო და პროკურატურა მონაწილეობას იღებდა მართლმსაჯულების ამ სავარაუდო მასობრივ ხარვეზებში. თუმცა, თუ საქართველოს ხელისუფლება მზად არის გააგრძელოს ეს მიმართულება კონსტიტუციური (და პრინციპის) დაბრკოლებების მიუხედავად, არსებობს წითელი ხაზი, რომელიც არ უნდა გადაიკვეთოს, რათა საქართველომ უარი არ თქვას კანონის უზენაესობის სტანდარტებზე: ნებისმიერი გადაწყვეტილება მართლმსაჯულების ხარვეზების შედეგად დაზარალებული მომჩივნების სისხლის სამართლის ბრალდების საქმეებზე უნდა მიიღოს სასამართლომ.

15. საქართველოს კონსტიტუციის 82.2 მუხლი განსაზღვრავს, რომ „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისთვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.“ თუ არასასამართლო ორგანოს შეეძლება სასამართლო გადაწყვეტილებების გადახედვა, მაშინ სასამართლოს მიერ განსჯილი სისხლის სამართლის დანაშაულის ნებისმიერი პოტენციური მსხვერპლის უფლება დარჩება დაუცველი. გარდა ამისა, თუ ახალი გარემოებები გამოიკვეთება, მათ შორის მართლმსაჯულების წარსული ხარვეზები, მხოლოდ სასამართლოებს უნდა ჰქონდეთ მათი საბოლოო სტადიაზე გადახედვის უფლება. ამიტომაც არსებითია, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის გასაჩივრების გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დროებითი კომისია არ უნდა შეეხოს იმას, თუ რა შედეგით უნდა დასრულებულიყო საქმის განხილვა. ასევე, ახალი პროცესის შედეგი – თავდაპირველი პროცესის პროცედურული ნაკლოვანებების გამოსწორების მიუხედავად – შესაძლოა თავდაპირველი პროცესის შედეგის მსგავსი იყოს. სხვა სიტყვებით, სასამართლო, რომელიც იხილავს მართლმსაჯულების შესაძლო ხარვეზის არსებობის საქმეს არ არის აუცილებელი, რომ მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ მომჩივანი უდანაშაულოა და უნდა გათავისუფლდეს.

16. აღსანიშნავია, რომ ვენეციის კომისია და დირექტორატი არ გამოხატავს თავის მოსაზრებას საქართველოში მართლმსაჯულების ხარვეზების არსებობის ან მათი სისტემატიურობისა და დროებითი კომისიის შექმნის მოთხოვნის თაობაზე. მათი ერთადერთი მიზანი არის წვლილი შეიტანონ, რომ შემოთავაზებული მექანიზმი

შესაძლებლობის ფარგლებში შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ ხელისუფლების დანაწილებისა და მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის პრინციპებს. თუმცა, ვენეციის კომისიასა და დირექტორატს სურს აღნიშნოს, რომ მას რთულად მიაჩნია კანონის უზენაესობის იმპერატიულ დანაწესთან თანხვედრა, რომელიც უნდა მიესადაგოს სისხლის სამართლის საქმეების გადახედვის ნებისმიერ პროცესს დღევანდელი საქართველოს სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით. კერძოდ ამ კუთხით გამოიკვეთება უკიდურესად პოლარიზებული პოლიტიკური შინაარსი და მართლმსაჯულების შეზღუდული ფარგლები. ამ კონტექსტში, ვენეციის კომისია და დირექტორატი აღნიშნავენ რადიკალურად განსხვავებულ კონტექსტებს, რომლის მიხედვითაც ევროპაში მოქმედებენ სისხლის სამართლის საქმეების შემოწმების სხვა კომისიები.

17. ეს მოსაზრება ეფუძნება კანონპროექტის ინგლისურ თარგმანს. თარგმანი შესაძლოა ზუსტად არ ასახავდეს დედანის ყველა დეტალს და, ზოგიერთი კომენტარი შესაძლოა იყოს თარგმნის პრობლემების შედეგი.

III. კომისიების მაგალითები ევროპაში

18. სისხლის სამართლის საქმეების გადახედვის კომისიები არსებობს 1997 წლიდან (ინგლისში, უელსსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში), 1999 (შოტლანდიაში) და 2003 (ნორვეგიაში). ისინი შეიქმნა მართლმსაჯულების სერიოზული ხარვეზების აღმოჩენის შემდგომ. სამ კომისიას აქვს განსხვავებული საკანონმდებლო ჩარჩოები და წესები.

ა) ინგლისის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის სისხლის სამართლის საქმეების გადახედვის კომისია^[4]

19. სისხლის სამართლის საქმეების გადახედვის კომისია (სსსგკ) არის დამოუკიდებელი საჯარო ორგანო, რომელიც დაარსდა 1997 წლის მარტში 1995 წლის სისხლის სამართლის გასაჩივრების აქტის საფუძველზე. მისი მიზნები არის ინგლისში, უელსსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში მართლმსაჯულების შესაძლო ხარვეზების გადახედვა და შესაფერისი საქმეების სააპელაციო სასამართლოებისთვის გადაცემა.

20. საჯარო დანიშვნების კომისრის სამოქმედო კოდექსის თანახმად დანიშნულია თერთმეტი კომისარი. ისინი აბსოლუტურად დამოუკიდებლები და მიუკერძოებლები არიან, არ წარმოადგენენ პროკურატურას ან დაცვის მხარეს. ისინი მუშაობენ უფროს ხელმძღვანელ გუნდთან ერთად, რათა უზრუნველყონ კომისიის ეფექტური მუშაობა.

21. ნებისმიერი პირს, რომელსაც სჯერა, რომ სისხლის სამართლის დანაშაულში არასწორად გაასამართლეს, შეუძლია სსსგკ-ს მიმართოს მისი საქმის გადახედვის თხოვნით, თუ ის გასამართლდა ინგლისის, უელსის ან ჩრდილოეთ ირლანდიის სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ. თუ მომჩივანი მიმართავს კომისიას, სასამართლოს არ აქვს არავითარი ბერკეტი ამ საფუძველით მომჩივნისთვის სასჯელის ვადის გასაზრდელად.

22. სსსგკ საჩივრის ფორმა მოითხოვს გარკვეულ ინფორმაციას მომჩივნის საქმის შესახებ. სსსგკ-მ უნდა იპოვოს მნიშვნელოვანი ახალი მტკიცებულება ან ახალი სამართლებრივი არგუმენტაცია საქმის სააპელაციო სასამართლოსთვის გადასაცემად. ჩვეულებრივ ეს ნიშნავს ისეთ საკითხს, რომელიც არ განხილულა სასამართლოში ან აპელაციის დროს. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ახალი მტკიცებულება, რომელიც იმ დროს არ იყო ცნობილი, ან ისეთი რამ, რაც შეიცვალა სასამართლო პროცესის შემდეგ, მაგალითად ახალი მოწმის გამოჩენა ან მეცნიერების ახალი განვითარება. ახალი სამართლებრივი არგუმენტი ჩვეულებრივი არის კანონის რაიმე მნიშვნელოვანი ახალი პუნქტი, რომელიც აქამდე არ წამოუყენებიათ, მაგალითად, რომ მოსამართლის შეჯამება იყო მცდარი ან რომ პროკურატურამ არასწორად გამოიყენა კანონი.

ბ. ნორვეგიის სისხლის სამართლის საქმეთა კომისია^[5]

23. ნორვეგიის სისხლის სამართლის საქმეების გადახედვის კომისია დაარსდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27 თავში შეტანილი შესწორების საფუძველზე. შესწორება ძალაში შევიდა 2004 წლის 1 იანვარს.

24. ნორვეგიის სისხლის სამართლის საქმეთა გადახედვის კომისია არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელსაც აქვს უფლებამოსილება გადაწყვიტოს ექნებათ თუ არა იმ მსჯავრდებულებს მათი საქმეების სასამართლოში ხელახალი განხილვის უფლება, რომლებიც მათი განაჩენის/სასჯელის გადახედვას მოითხოვენ. თუ კომისია გადაწყვეტს, რომ უნდა მოხდეს მათი გადასინჯვა, საქმე გადასასინჯად გადაეცემა სასამართლოს, მაგრამ არა იმ სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა განაჩენი/სასჯელი. ეს უნდა იყოს სისხლის სამართლის საქმე, რომელიც გადაწყვეტილია კანონიერად აღსრულებადი განაჩენით.

25. კომისიამ უნდა შეაფასოს სახეზეა თუ არა გადახედვისთვის საჭირო მოთხოვნები. სისხლის სამართლის საქმის განახლების ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველებია:

- ახალი მტკიცებულება ან ახალი გარემოებები, რომლითაც შესაძლოა მოხდეს პირის გამართლება ან სასჯელის მნიშვნელოვნად შემცირება;

- ნორვეგიის წინააღმდეგ საქმეებში, თუ საერთაშორისო სასამართლომ ან გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ დაადგინა, რომ გასამართლებული პირების საქმეზე განაჩენი ან სამართალწარმოება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს და არსებობს საკმარისი საფუძველი იმისა, რომ სისხლის სამართლის ხელახალი განხილვის შედეგად სხვა გადაწყვეტილება იქნება გამოტანილი;

- თუ პირმა, რომელსაც საქმესთან ჰქონდა გადამწყვეტი კავშირი (პროკურორი, მოსამართლე, ექსპერტი, ადვოკატი, მოწმე), ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული, რომელსაც შესაძლოა ზეგავლენა ჰქონოდა განაჩენზე/სასჯელზე დამნაშავედ ცნობილი პირის მდგომარეობის გაუარესების კუთხით.

26. ნორვეგიის სისხლის სამართლის საქმეთა გადახედვის კომისიის მუდმივი წევრები იღებენ გადაწყვეტილებას მიიღონ თუ არა გადასინჯვის პეტიცია. კომისიას ნიშნავს მეფე საბჭოში და ჰყავს ხუთი მუდმივი წევრი და სამი მოადგილე. დანიშნული წევრებს ერთად აქვთ საფუძვლიანი და ფართო გამოცდილება სასამართლოებიდან, პროკურატურიდან, ადვოკატობიდან, ისევე როგორც ზოგადად

საზოგადოებიდან. თავმჯდომარე, მისი მოადგილე და ერთი სხვა წევრი უნდა იყვნენ იურისტები.

27. კომისიის აქვს უფლებამოსილება დაადგინოს არის თუ არა საკმარისი საფუძველი, რომ გადასახედ საქმეზე გამოტანილი განაჩენი/მსჯავრი იყოს არასწორი. კომისია არ არის სხვა სააპელაციო ორგანო და არ განსაზღვრავს ბრალეულობის საკითხს. ის არც შემსწავლელი კომისიაა, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს სასამართლოების პრაქტიკა. ის გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ საქმეების ხელახალი გადასინჯვის მოთხოვნების შუამდგომლობის თაობაზე იმ პირთა მიერ, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათ საქმეებზე სასამართლომ გამოიტანა არასწორი განაჩენი.

28. კომისიამ შესაძლოა გადაწყვიტოს, რომ საქმე გადასასინჯად გადაეცეს სხვა სასამართლოს, რომელსაც არ გამოუტანია აღნიშნული განაჩენი/სასჯელი. ახალი სასამართლო იქნება იმავე ინსტანციის, რომელმაც გამოიტანა სასჯელი/განაჩენი.

IV. კანონის ანალიზი მუხლების მიხედვით

თავი 1. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კომისიის მიზნები

29. მუხლი 1.1 განსაზღვრავს, რომ მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის (შემდგომში „კომისია“) დანიშნულება არის „მართლმსაჯულების ხარვეზების დადგენა“. დასაწყისში, უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის სახელი უნდა იყოს უფრო ნეიტრალური / ნაკლებად სავარაუდო რომ ის გამოიწვევს დავას. კომისიის სახელი შესაძლოა ყოფილიყო მაგალითად „დროებითი კომისია სისხლის სამართლის საქმეებზე“.

30. ტერმინი „დადგენა“ ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ კომისიას ექნება ვალდებულება რომ საბოლოოდ გადაწყვიტოს ის საქმეები, სადაც შესაძლოა გამოვლენილი იყოს მართლმსაჯულების ხარვეზები. კანონპროექტის 21.2 მუხლი მიუთითებს, რომ ეს არ არის მისი საქმე და რომ კომპეტენტურ სააპელაციო სასამართლოს ექნება საქმის ხელახლა გახსნის შესაძლებლობა. ტერმინი „დადგენა“ კანონპროექტის პირველ მუხლში უნდა ჩანაცვლდეს უფრო ნეიტრალური ტერმინით როგორცაა „შესწავლა“ ან სხვა. კომისიამ არ უნდა დაადგინოს, რომ მართლმსაჯულების ხარვეზს ჰქონდა ადგილი, არამედ უნდა მიიღოს დასკვნა, სადაც აღნიშნული იქნება, რომ კომისიას ექნება „გონივრული ეჭვი“ მართლმსაჯულების ხარვეზის არსებობის თაობაზე. მართლმსაჯულების ხარვეზს მხოლოდ სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომელიც განაახლებს საქმის წარმოებას კომისიის დასკვნის საფუძველზე.

31. ამგვარად, კომისიის მუშაობის მიზანი უნდა იყოს ზუსტად გაცხადებული. ფაქტი, რომ კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მომჩივანს უფლება აქვს მოითხოვოს აპელაციით საქმის ხელახალი განხილვა, გაწერილი უნდა იყოს კანონის დასაწყისში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული პროცედურა არის საქმის განახლების ერთადერთი გზა.

32. 1.3 მუხლის თანახმად, „საჩივრების შესწავლისა და განხილვის პარალელურად, კომისია შეიმუშავებს და საქართველოს პარლამენტს, ასევე მართლმსაჯულების

სისტემაში შემავალ სახელმწიფო ორგანოებს წარუდგენს მოსაზრებებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში დაშვებული ხარვეზების გამომწვევი სისტემური მიზეზების თაობაზე, ასევე რეკომენდაციებს მათი აღმოფხვრისა და მომავალში თავიდან აცილების შესახებ” და მე-5 მუხლის შესაბამისად, „კომისიის საქმიანობის დაწყებიდან ყოველი ერთი წლის თავზე, აგრეთვე კომისიის საქმიანობის დასრულებისას, კომისიის პლენუმი ადგენს და აქვეყნებს კომისიის საქმიანობის ანგარიშს (...)”

33. ვენეციის კომისია და დირექტორატი მიიჩნევენ, რომ კომისიამ კონცენტრაცია უნდა მოახდინოს ინდივიდუალურ საქმეებზე და არა მართლმსაჯულების ხარვეზების სისტემურ მიზეზებზე. კომისიის გადაწყვეტილებების საფუძველზე, იურტიციის სამინისტროს მოვალეობაა რეფორმის მიზეზებისა და მისი შესაძლო საჭიროების დადგენა.

34. საბოლოოდ, რეგულარული მოხსენებით სახეზე გვექნება კომისიის ეფექტურობაში ჩარევა, რასაც ზეგავლენა ექნება მის დამოუკიდებლობაზე. ამიტომ, საქმიანობის ანგარიში (ე.ი. ინდივიდუალურ საქმეებზე და სტატისტიკით) ხელისუფლებას უნდა მიეწოდოს მხოლოდ კომისიის დავალების საბოლოოდ დასრულებისას.

მუხლი 2. მართლმსაჯულების ხარვეზების ცნება

35. კანონპროექტის მეორე მუხლი განსაზღვრავს მართლმსაჯულების ხარვეზის ცნებას. მუხლის მიხედვით მართლმსაჯულების ხარვეზი დადგენილად ითვლება, თუ ობიექტურ დამკვირვებელს საქმის გარემოებების ჯეროვანი შესწავლის შედეგად, შეუძლია მიიჩნიოს, რომ: ა) არსებითი მტკიცებულებების შესწავლა არ მომხდარა ზუსტად განსაზღვრული წესის შესაბამისად; ბ) საქმის განხილვის დროს ადგილი ჰქონდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ან/და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით უზრუნველყოფილი უფლებების აშკარა და უხეშ დარღვევას, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის გადაწყვეტის შედეგზე, ან; გ) საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის დროს, საქმის განხილველმა მოსამართლემ აშკარად დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

36. იმ შემთხვევაშიც თუ მეორე მუხლი მიუთითებს ტერმინ „ობიექტურ დამკვირვებელზე”, მართა ეს ტერმინი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საკმარის ობიექტურ კრიტერიუმად. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეექვსე მუხლის სტანდარტებზე მითითებით შესაძლებელი იყო მსგავსი კრიტერიუმის შექმნა.

მუხლი 4. დამოუკიდებლობა, იმუნიტეტი, პრინციპები

37. მეოთხე მუხლი აღნიშნავს კომისიის დამოუკიდებლობის მნიშვნელობას. ეს პრინციპები არის კარგად დასაბუთებული და კომისიის სანდოობისთვის აბსოლუტურად აუცილებელი. იმ შემთხვევაშიც, თუ კომისია არ არის სასამართლო ორგანო, არსებითია რომ ის იყოს აბსოლუტურად დამოუკიდებელი და არც ერთ შემთხვევაში არ მიიღოს მთავრობისგან ინსტრუქციები.

38. მეოთხე პარაგრაფის მიხედვით „კომისიის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ჩხრეკა შეიძლება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის თანხმობით” ჩანს, რომ ეს დებულება ძალიან შორს მიდის: კომისიის წევრების იმუნიტეტი უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ იმ ქმედებით, რომელიც დაკავშირებულია მათი, როგორც კომისიის წევრების საქმიანობასთან. მოსამართლეებიც კი მხოლოდ ფუნქციონალური იმუნიტეტით უნდა სარგებლობდნენ[6]. კომისიის წევრების ნებისმიერი იმუნიტეტი არ უნდა გასცდეს ამ ფარგლებს.

მუხლი 5. საჯაროობა, ყოველწლიური და საბოლოო ანგარიშები

39. მეხუთე მუხლი ეხება საჯაროობას, ყოველწლიურ და საბოლოო ანგარიშებს (მათ შესახებ ინფორმაცია იხილეთ ზემოხსენებულ მუხლ 1-ში). აქ ასევე უნდა იყოს დებულება კონკრეტული გადაწყვეტილებების ან ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის (ან „არასაჯაროობის“) შესახებ, როდესაც აღნიშნული შედეგის მომჩივნის ინტერესებში. მომჩივნის ინტერესებში შეიძლება იყოს სენსიტიური ინფორმაციის გაუმჟღავნებლობაზე დაყრდნობა. პირისთვის პეტიციის წარდგენის შემაფერხებელი ფაქტორი არ უნდა იყოს სენსიტიური და პირადი ინფორმაციის გამოაშკარავების შიში.

თავი 2 – შემადგენლობა, უფლებამოსილების ვადა, კომისიის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

მუხლი 6. შემადგენლობა, უფლებამოსილების ვადა, მოთხოვნები კომისიის წევრის მიმართ

40. 6.1 მუხლის მიხედვით კომისია დაფუძნდება სამი წლის ვადით. კომისიის თავმჯდომარის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე პარლამენტს შეუძლია გაზარდოს ვადა არაუმეტეს ერთი წლისა. კომისია დაასრულებს ფუნქციონირებას პარლამენტის დადგენილებით.

41. როგორც ზემოთ განსაზღვრულია, ვენეციის კომისია და დირექტორატი თანხმდებიან, რომ განსაკუთრებულ გარემოებებში საქართველოში შეიძლება საჭირო იყოს და მნიშვნელოვანი მართლმსაჯულების ხარვეზების შეფასების პროცესის დროში შეზღუდვა, შესაბამისად კომისიის ვადისაც[7]. საქართველოში საქმეების გადასინჯვის საგამონაკლისო პროცედურა ქმნის სერიოზულ პრობლემებს კანონის სიზუსტის თვალსაზრისით და მნიშვნელოვანია განისაზღვროს ზუსტი დროის მონაკვეთი საქართველოში მართლმსაჯულების სისტემის სტაბილურობისთვის. ამ კუთხით, პროცესის გახანგრძლივების გადაწყვეტილებას აუცილებლად ექნება ძლიერი პოლიტიკული მნიშვნელობა და რისი შესაძლებლობაც არ უნდა არსებობდეს.

42. ვადა, რომლის განმავლობაშიც იმოქმედებს სახელმწიფო კომისია, არის აბსტრაქტულად შესაფასებლად ძალიან რთული. კომისიის ვადის განსაზღვრა კომისიას აძლევს ზუსტ მიზეზს, რომ მუშაობა დაასრულოს შესაძლებლობის ფარგლებში უმოკლეს დროში და ამავდროულად აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ კომისიას ექნება საკმარისი დრო ყველა საქმის ერთნაირი გულმოდგინეობით შესასწავლად. გარდა ამისა, მისი მუშაობის დაწყებამდე და

იმისთვის, რომ ის ბოლომდე ქმედითი იყოს, კომისიამ მისი არსებობის დასაწყისიდან უნდა დაარსოს შიდა სტრუქტურა და პროცედურები.

43. მოსალოდნელი საქმეების დიდი რაოდენობის გამო, სამი წელი შესაძლოა ძალიან მოკლე დრო იყოს. მართალია ვენეციის კომისიისა და დირექტორატის მოვალეობა არ არის შეაფასოს თუ რამდენად საკმარისი იქნება სამ წლიანი ვადა კომისიის მუშაობისთვის, თუმცა აღნიშნავენ, რომ ეს ვადა უნდა განისაზღვროს კომისიის სამუშაოს მოცულობის რეალური შეფასების საფუძველზე.

44. 6.1 მუხლის თანახმად: „კომისია წყვეტს საქმიანობას საქართველოს პარლამენტის დადგენილებით.“ პარლამენტს ასევე ექნება შესაძლებლობა ადრე დაასრულოს სახელმწიფო კომისიის მანდატი, თუ მეტი საქმეები აღარ იქნება განსახილველი.

45. 6.2 მუხლის თანახმად კომისია შედგება ცხრა წევრისგან, რომელთაგანაც ერთი არის კომისიის თავმჯდომარე.

46. 6.3 მუხლის მიხედვით კანდიდატები უნდა „დასახელდნენ საპარლამენტო ფრაქციების მიერ.“ კანდიდატად დასახელებისთვის აუცილებელია კრიტერიუმების დაკმაყოფილება (კერძოდ კანდიდატს „უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება“ და „ადიარებული კომპეტენციის ფარგლებში იყოს სისხლის სამართლის სპეციალისტი“). აპლიკაციების შეტანაზე მედიის საშუალებით განხორციელებული საჯარო მოწვევა ნებისმიერ სპეციალისტს, რომელიც აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს, მისცემს მონაწილეობის შესაძლებლობას და შეამცირებს შესაძლო პოლიტიკურ ზეგავლენას. ნებისმიერი შესაძლო ნაბიჯი უნდა გადაიდგას კომისიის დეპოლიტიზაციისთვის. ვენეციის კომისია და დირექტორატი შიშობენ, რომ დღევანდელი საქართველოს მკვეთრად პოლარიზებული ფონი ამ ამოცანას გაართულებს, მაგრამ სჯერათ, რომ კომისიის წარმატება დიდად არის დამოკიდებული მთლიანი პროცესის დეპოლიტიზაციისთვის.

47. 6.3 მუხლის მიხედვით „კომისიის წევრებსა და თავმჯდომარეს ირჩევს პარლამენტი სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით (...).“ ეს დებულება მისასაღმებელია, რადგან ის მიგვიყვანს იმ წევრების არჩევამდე, რომლებიც ადიარებულნი არიან როგორც დამოუკიდებელი ექსპერტები. თუმცა, შემდეგი წინადადება „თუ კენჭისყრის პირველ ტურში ვერ შეივსო ყველა ვაკანსია, კენჭისყრის მომდევნო ტურებში არჩეული გამოვლინდება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით“ არის პრობლემატური. ეს უმრავლესობას აძლევს შესაძლებლობას, რომ დაუცადოს მეორე რაუნდს იმისთვის რომ მათ მიერ მხარდაჭერილი პირები აირჩიონ. ამ მოცემულობაში, საპარლამენტო უმრავლესობას აქვს მცირე სურვილი უმცირესობასთან მიაღწიოს შეთანხმებას იმისთვის რომ პირველ რაუნდში მიიღოს ორი მესამედის უმრავლესობა. მეორე მხრივ, უმცირესობას არ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ნებისმიერი კანდიდატის მიუღებლობით დაბლოკოს მთლიანი პროცესი. გამოუვალი მდგომარეობის საწინააღმდეგო უკეთესი მექანიზმი უნდა შემუშავდეს იმისთვის, რომ უმრავლესობა და უმცირესობა შეთანხმდნენ ნეიტრალურ და დამოუკიდებელ ექსპერტებზე როგორც კომისიის წევრებზე.

48. 6.5 მუხლის მიხედვით კომისიის წევრი „არ უნდა იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი. პირი, რომელიც არჩეულ იქნება კომისიის წევრად, დაუყოვნებლივ წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.“ იმისთვის რომ წევრები საზოგადოების მიერაც აღიქმებოდნენ დამოუკიდებლად, ვენეციის კომისია და დირექტორატი მიიჩნევენ, რომ კომისიაში არ უნდა იყვნენ პოლიტიკური პარტიის წევრები იმ შემთხვევაშიც კი თუ ისინი შეწყვეტენ პოლიტიკური პარტიის წევრობას.

მუხლი 8. უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

49. მერვე მუხლი განსაზღვრავს კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებს. 1 („ბ“) მუხლი - „თუ წევრი ერთი თვის განმავლობაში არ ასრულებს უფლებამოსილებას“- არის რთულად გასაგები. თუ წევრს აქვს უფლებამოსილების დროებით შეუსრულებლობის საპატიო მიზეზი (ავადმყოფობა ან სხვა საპატიო მიზეზები), შედეგი არ უნდა იყოს კომისიის წევრობის შეწყვეტა მანამ სანამ მოვალეობის შეუსრულებლობა გაგრძელდება განსაზღვრულზე უფრო დიდი დროის მანძილზე ან მუდმივად.

50. კანონპროექტის ავტორებმა ასევე უნდა განიხილონ შემცველი წევრების დანიშვნის შესაძლებლობა. ეს უზრუნველყოფს უწყვეტობას იმ შემთხვევაში თუ წევრი ვერ შეასრულებს თავის ფუნქციებს.

მუხლი 9. კომისიის პლენუმი

51. მეცხრე მუხლით განსაზღვრულია კომისიის პლენუმის მუშაობის წესი. მუხლით განსაზღვრულია „კომისიის პლენუმი უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხები, თუ პლენუმის სხდომას ესწრება პლენუმის წევრთა ორი მესამედი. პლენუმის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პლენუმის სრული შემადგენლობის უმრავლესობისა“. ეს დებულება გარკვეულწილად არ არის ნათელი. პლენუმს აქვს უფლებამოსილება განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხები, თუ სხდომას ესწრება წევრთა ორი მესამედი. სხვა სიტყვებით ეს არის ქვორუმი. ჩანს, რომ არც ერთი გადაწყვეტილება არ მიიღება პლენუმის წევრთა უმრავლესობაზე (ე.ი. ხუთ ხმაზე) ნაკლებით. უმჯობესი იქნებოდა ამ ციფრების კანონში ზუსტად ასახვა იმისთვის, რომ თავიდან აგვერიდებინა გაუგებრობები.

მუხლი 10. კომისიის თავმჯდომარე

52. 10.2 მუხლის თანახმად „კომისიის თავმჯდომარე ანაწილებს საქმეებს კოლეგიებზე რიგითობის და სპეციალიზაციის მიხედვით.“ გაურკვეველია თუ ამ კონტექსტში რას ნიშნავს „სპეციალიზაცია“ და რა კრიტერიუმებია, რომლის მიხედვითაც თავმჯდომარე გადაანაწილებს საქმეებს კოლეგიების მიხედვით იმ დროს, როდესაც კომისიის ყველა კოლეგია არის „სისხლის სამართლის“ (მუხლი 11.1), რომლის წევრებიც ნაწილდებიან წილისყრით (მუხლი 11.1). შესაბამისად ტერმინი „სპეციალიზაცია“ უნდა წაიშალოს.

53. კანონმა უნდა განსაზღვროს, რომ საქმეები გადაანაწილდება შემთხვევით, რათა შეიზღუდოს კომისიის თავმჯდომარის დისკრეციული უფლებამოსილება.

მუხლი 11. კომისიის კოლეგიები

54. კომისიის შემადგენლობაში იქმნება სისხლის სამართლის სამი კოლეგია. კომისიის კოლეგია შედგება სამი წევრისგან და ის, მოცემული შემადგენლობით, იქმნება ერთი წლის ვადით. კოლეგიებში, კომისიის წევრთა განაწილების მიზნით, კომისიის პლენუმი ატარებს წილისყრას. წევრების შემთხვევითობის პრინციპით განაწილების ფაქტი არის მისასაღმებელი. უნდა აღინიშნოს, რომ კოლეგიები მოქმედებს ერთი წლის ვადით და მათი სამუშაოს მოცულობაც უნდა დასრულდეს ერთ წელიწადში, სხვა მხრივ კოლეგიების შემთხვევით შერჩევა შემდგომი წლისთვის აღარ იქნება შესაძლებელი. ამ ერთწლიანმა ზღვარმა შესაძლოა მიგვიყვანოს პრაქტიკულ სირთულეებთან და უმჯობესი იქნებოდა მისი ამოღება.

იმისთვის რომ საქმეების დაგროვების საფუძველზე გამოსაყენებელი კრიტერიუმების საერთო გაგება შემუშავდეს, სასარგებლო იქნებოდა სამი პალატის მუდმივი შეხვედრების უზრუნველყოფა.

მუხლი 13. ინტერესთა კონფლიქტი

55. მე-13 მუხლი განმარტავს ინტერესთა კონფლიქტს და რა ზომები უნდა გადაიდგას ამ შემთხვევაში. ეს დებულებები მისასაღმებელია. თუმცა საკითხავია რამდენად არის მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის კომპეტენცია აცილების შუამდგომლობის შემოწმება და მასზე გადაწყვეტილების მიღება

(13.2 მუხლი). აცილების შუამდგომლობები უნდა განიხილოს პლენუმმა – დაინტერესებული წევრის გამოკლებით. მსგავსი კოლეგიური გადაწყვეტილება განამტკიცებს ნდობას კომისიის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში. აცილების შუამდგომლობების არსებობის შემთხვევაში, კომისიის წევრების წილისყრით განაწილების შესახებ 11.2 მუხლით განსაზღვრული პროცედურა, ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აცილებული წევრის ჩასანაცვლებლად ნაცვლად იმისა, რომ კომისიის თავმჯდომარეს მივანიჭოთ ეს უფლებამოსილება.

56. კომისიის შესაფერისი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად მომჩივნის ან მისი ადვოკატის კომისიის წევრის აცილების შესახებ შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული შუამდგომლობის წამოყენების ეტაპზე. ეს იქნება საქმისადმი ეფექტური მიდგომა არადაინტერესებული წევრების ინტერესების გათვალისწინებით.

თავი 3. საჩივრების განხილვა

მუხლი 15. საჩივრის წარდგენის წესი

57. მე-15 მუხლით განსაზღვრულია საჩივრის წარდგენის წესები. პრაქტიკული იქნებოდა საჩივრის ფორმის არსებობა, რომლითაც მომჩივანი მიმართავდა საბჭოს. ფორმა ასევე შესაძლოა შეიცავდეს კომისიისა და კანონის შესახებ ინფორმაციას. გარდა ამისა წერილობითი სარჩელის შეზღუდვა ფურცლების კონკრეტული რაოდენობით არ უნდა იყოს ძალიან მკაცრად გამოყენებული; გამონაკლისების დაშვება უნდა იყოს შესაძლებელი.

58. თუ მომჩივანს არ ჰყავს ადვოკატი, ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უნდა რჩევები მიაწოდოს მომჩივანს საჩივრის ფორმალური ასპექტების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, მომჩივნათათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს იურიდიული დახმარება.

მუხლი 17. დასაშვებობის კრიტერიუმები

59. მე-17 მუხლით განსაზღვრულია დასაშვებობის კრიტერიუმები იმ საქმეებზე რომლებსაც განიხილავს კომისია. მე-3 პუნქტის თანახმად „ნაკლებად მძიმე დანაშაულის“ ჩადენაში მსჯავრდებულ პირს შეუძლია მიმართოს კომისიას, თუ ამ დანაშაულისათვის მას სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა და მან საპატიმრო დაწესებულებაში რეალურად მოიხადა ასეთი სასჯელი ან მისი ნაწილი. თუმცა, საჩივარის შეტანა ისეთ შემთხვევებშიც უნდა იყოს შესაძლებელი, როდესაც პირს საერთოდ არ მოუხდია სასჯელი, მაგრამ სამართლებრივად ვალდებული იყო მოეხადა ის.

60. 17.4 მუხლი განსაზღვრავს, რომ კომისიაში შეიძლება შეტანილ იქნეს საჩივარი მხოლოდ ისეთ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა განაჩენი ან სხვა გადაწყვეტილება 2004 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში. გაუგებარია, თუ რატომ იზღუდება საჩივრები მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებით. ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში მართლმსაჯულების ხარვეზების საწინააღდეგო საშუალებაა აპელაცია და მხარეებზეა დამოკიდებული საქმეების უმაღლეს ინსტანციაში გასაჩივრება. მხოლოდ საბოლოო ინსტანციის, რომელსაც ჰქონდა ფაქტებისა და კანონის სრული გადასინჯვის უფლება, გადაწყვეტილება უნდა გაითვალისწინოს კომისიამ მართლმსაჯულების ხარვეზის შესახებ თითოეული განცხადების შემთხვევაში. 17.5 მუხლი სწორედაც სამართლებრივი გზების ამოწურვის აუცილებლობაზე მიუთითებს.

რაც შეეხება ამ მუხლის მე-5 პუნქტს, საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმია, რომ პიროვნებას ამოწურული ჰქონდეს ყველა სასამართლო ინსტანცია, რაც შეიძლება ჩაითვალოს გონივრულად. თუმცა, ამ პუნქტის ბოლო ნაწილის მიხედვით შეზღუდვები და მტკიცების ტვირთი ეკისრება მომჩივანს, რაც ძალიან მკაცრია. „თუ საქმეზე გამოტანილია პირველი ინსტანციის განაჩენი არსებითი განხილვის გარეშე, საჩივარი დასაშვებია განურჩევლად იმისა, გაასაჩივრა თუ არა მომჩივანმა ასეთი განაჩენი, იმ პირობით, თუ მომჩივანი წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებებს, რომ საპროცესო შეთანხმება დაიდო მოტყუებით, იძულებით, ძალადობით, მუქარით ან დაშინებით. თუ მივიჩნევთ, რომ ეს სასჯელები განპირობებული იყო პოლიტიკური ბუნებით, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ეს იყო სასჯელის გამოტანის დროს მისი არ გასაჩივრების მიზეზი.

62. შემდეგი პრობლემა ეხება დროებითი კომპეტენციის ფარგლებს. კანონპროექტის პრეამბულა აღნიშნავს, რომ ათასობით საჩივარი შევიდა იმ პირებისგან, რომლებიც აცხადებენ, რომ უკანონოდ ან უსამართლოდ გაასამართლეს 2004-2012 წლებში. რაც შეეხება პერიოდის ზედა ზღვარს აღსანიშნავია, რომ აქ იკვეთება არათანმიმდევრულობა. 1.3 მუხლით ივარაუდება, რომ კომისიის მუშაობის შედეგი იქნება „სისტემური მიზეზების“ იდენტიფიკაცია და მსგავსი ხარვეზების მომავალში აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების მიცემა. თუ მისი ფუნქცია სწორედ ესაა, მაშინ არაგონივრულია კომისიის კომპეტენციის შეზღუდვა 2012 წლის 1 ნოემბრამდე

დასრულებული საქმეებით, რადგან მართლმსაჯულების პრობლემები შესაძლოა გაგრძელებულიყო იმ დრომდე, ვიდრე სისტემური მიზეზები აღმოიფხვრებოდა.

63. რაც შეეხება დროის ქვედა ზღვარს, არც კანონპროექტის მე-17 მუხლი და არც პრემბულა არ წარმოადგენს ახსნა-განმარტებას, თუ რატომ დაიწყო მართლმსაჯულების პრობლემები 2004 წლის 1 იანვარს. დროის აღნიშნული შუალედები ან უნდა განიმარტოს, რომ არ ჩანდეს თვითნებურად შერჩეული, ან უნდა გადაიხედოს.

64. 17.5 მუხლის დანაწესი, რომ საჩივრის წარსადგენად მომჩივანს ამოწურული უნდა ჰქონდეს ყველა სასამართლო ინსტანცია არის გონივრული.

65. იგივე მუხლი აწესებს გამონაკლის საპროცესო გარიგების საქმეებზე, თუმცა `თუ საქმეზე გამოტანილია პირველი ინსტანციის განაჩენი არსებითი განხილვის გარეშე, საჩივარი დასაშვებია განურჩევლად იმისა, გაასაჩივრა თუ არა მომჩივანმა ასეთი განაჩენი, იმ პირობით, თუ მომჩივანი წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებებს, რომ საპროცესო შეთანხმება დაიდო მოტყუებით, იძულებით, ძალადობით, მუქარით ან დაშინებით.` ამ შემთხვევებში, პირველი ინსტანცია ასევე გვევლინება საბოლოო ინსტანციად.

66. საპროცესო გარიგება მართლაც წარმოშობს გარკვეული რაოდენობის საკითხებს საქმეების სასამართლო შემოწმების კუთხით. გერმანიის ფედერაციულმა სასამართლომ ახლახანს დაადგინა რომ `... საპროცესო გარიგება ატარებს რისკს, რომ კონსტიტუციის მოთხოვნები არ არის სრულად შესრულებული. თუმცა, კონსტიტუციის მიხედვით საკანონმდებლო ხელისუფლებას არ აქვს აპრიორი ჩამორთმეული უფლება, რომ პროცესის გამარტივების მიზნით საპროცესო გარიგების დადების ნებართვა გასცეს. იმისთვის, რომ კონსტიტუციურ მოთხოვნებთან მოხდეს თანხვედრა, საკანონმდებლო ხელისუფლებამ საჭიროდ მიიჩნია დაედგინა საპროცესო შეთანხმების ზუსტი სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებიც, მართალია პრაქტიკაში იყო მნიშვნელოვანი, მაგრამ ყოველთვის რჩებოდა საკამათო` და „საპროცესო გარიგებების გამჭვირვალობა და დოკუმენტაცია გვევლინება მარეგულირებელი მიდგომის მთავარ ასპექტებად. ეს ნიშნავს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოების, პროკურატურისა და სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ეფექტური კონტროლი. აღსანიშნავია, რომ საპროცესო გარიგებასთან დაკავშირებული ქმედებები სრულყოფილად უნდა გაერთიანდეს – ჩვეულებრივ საჯარო – სასამართლო პროცესთან. ამ ფაქტით ასევე მტკიცდება, რომ საპროცესო გარიგების შემდეგაც, მოსამართლის განაჩენი უნდა გამომდინარეობდეს მთლიანი პროცესიდან. გამჭვირვალობისა და დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულების დარღვევა ზოგადად გააუარესებს იმ საპროცესო გარიგებას, რომელიც ამის გარეშეც უკანონოდაა დადებული. თუ სასამართლო მიჰყვება ამ უკანონო შეთანხმებას, მაშინ მას ხშირად არ შეეძლება გამორიცხოს იმის ალბათობა, რომ განაჩენი დამყარებული იყო კანონდარღვევაზე.[8]` საპროცესო გარიგების ჩართვა კომისიის კომპეტენციაში არის გონივრული ქმედება.

67. 17.8 მუხლი განსაზღვრავს, რომ „კომისიაში საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ კომისიის პლენუმის მიერ პირველი ოფიციალური სხდომის ჩატარებიდან

სამი თვის ვადაში. ამგვარი სხდომა იმართება კომისიის მიერ კოლეგიებისა და აპარატის დაკომპლექტებისა და რეგლამენტის დამტკიცებისთანავე, მაგრამ ამ კანონის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი თვის თავზე.”

68. კომისიამ მომჩივანს უნდა მისცეს შესაძლებლობა შეიტანოს შესაბამისი საჩივარი და შედეგად საჩივრის შეტანისთვის უფრო დიდი ვადის დაწესება იქნებოდა მიზანშეწონილი. ასევე, სესიის თარიღი, რომელიც მოიცავს საჩივრის შეტანის სამთვიან ვადას უნდა გამოქვეყნდეს მედიითა და ციხეებში.

მუხლი 18. საჩივრის დასაშვებობა

69. 18.4 მუხლის თანახმად განსაზღვრულია, რომ `თუ საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი, იგი გადაეცემა კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც რიგითობის წესით გადასცემს მას ერთ-ერთი კოლეგიის თავმჯდომარეს, რომელიც, თავის მხრივ, საჩივრის არსებითად შესწავლას დაავალებს კოლეგიის ერთ-ერთ წევრს.” კოლეგიის თავმჯდომარეს არ უნდა ჰქონდეს დისკრეცია საქმის მომხსენებლისთვის გადაცემის დროს. საქმის გადაცემა უნდა მოხდეს შემთხვევითობის წესით.

მუხლი 19. საჩივრის არსებითად განხილვა და დასკვნის პროექტის მომზადება

70. კოლეგიაში, მომხსენებელი დასაშვებად ცნობილ საჩივრებს განიხილავს ქრონოლოგიურად, მათი კომისიაში შეტანის თარიღის მიხედვით (მუხლი 19.1), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც `კოლეგიის თავმჯდომარეს შეუძლია პრიორიტეტი მიანიჭოს რომელიმე საჩივარს, რომელ შემთხვევაშიც ის ითვალისწინებს პირველ რიგში საჩივრის ავტორის პატიმრობაში ყოფნის ფაქტსა და სასჯელის ხანგრძლივობას, მის ასაკს, ჯანმრთელობის მდგომარეობას ან სხვა ისეთ გარემოებას, რომელიც მიუთითებს, რომ საქმის დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოუსწორებელი შედეგი.” საქმეების ქრონოლოგიურად განხილვამ შესაძლოა მხოლოდ მათი არაეფექტური მართვა გამოიწვიოს.

71. მე-4 პუნქტით მომხსენებელს უფლება აქვს გამოითხოვოს `საჭირო ინფორმაცია საჯარო და კერძო დაწესებულებებიდან ან ნებისმიერი პირისგან, ვისთანაც შეიძლება ინახებოდეს ასეთი ინფორმაცია. თითოეული ასეთი დაწესებულება ან პირი ვალდებულია კოლეგიის მომხსენებელ წევრს მოთხოვნილი ინფორმაცია მიაწოდოს მოთხოვნიდან არაუგვიანეს ათი სამუშაო დღისა.” ეს კომისიასა და მის მომხსენებლებს აძლევს ძლიერ ძალაუფლებას და საეჭვოა უნდა ჰქონდეს თუ არა კომისიას ასეთი უფლებამოსილება. მართლმსაჯულების დადგენა უნდა ემყარებოდეს და გამომდინარეობდეს წარდგენილი საქმიდან.

72. კიდევ უფრო შორს მიდის მეხუთე პუნქტი, რომელიც ამბობს “თუ მომხსენებელი მიიჩნევს, რომ საქმეზე სათანადოდ დასაბუთებული დასკვნის მომზადებისთვის აუცილებელი რომელიმე მნიშვნელოვანი გარემოება დამატებით გამოძიებას საჭიროებს, იგი უფლებამოსილია გადაუზღავნოს საქმის მასალები პროკურატურის ორგანოებს კონკრეტულ გარემოებაზე მითითებითა და შესაბამისი საგამოძიებო ქმედების განხორციელების მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში, მომხსენებელი ვალდებულია მოთხოვნაში მიუთითოს გონივრული ვადა, რომელშიც პროკურატურამ მას დამატებითი საგამოძიებო ქმედებების შედეგები უნდა მიაწოდოს.” ეს კვლავ წამოწევს საკითხს იმის თაობაზე, თუ რამდენად უნდა შეეძლოს

კომისიას საქმეების ხელახალი გახსნა და გამოძიება. კომისია არ არის სასამართლო და საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს არა კომისიამ, არამედ სააპელაციო სასამართლომ, რომელიც განახლებს საქმეს. შესაბამისად, კომისიას არ უნდა ჰქონდეს იგივე უფლებამოსილება, რაც სასამართლოს. ამ კუთხით, კომისიისთვის მინიჭებული შესაძლებლობა პროკურატურას მოსთხოვოს საგამომიებო მოქმედებების ჩატარება ძალიან შორს მიდის.

მუხლი 20. დასკვნის პროექტის დამტკიცება

73. 20.2 მუხლი განსაზღვრავს, რომ დასკვნის პროექტის განხილვა ხდება კოლეგიის დახურულ სხდომაზე. ეს უზრუნველყოფს ეფექტურ პროცედურას. თუმცა, კოლეგიას ასევე შეუძლია “სხდომაზე გამოიძახოს მომჩივანი, მისი ადვოკატი ან სხვა პირი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით.” თუმცა მომჩივანს შეეძლება სხდომაში მონაწილეობის მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას მოიწვევს კოლეგია. თუმცა საქართველოს სახალხო დამცველს საკუთარი ინიციატივით შეუძლია კოლეგიას მისცეს საქმეზე საკუთარი ზეპირი განმარტებები. სახალხო დამცველს ასევე შეუძლია მოითხოვოს სხდომის ჩატარება. არ ჩანს რაიმე მოთხოვნა, რომ სახალხო დამცველმა იმოქმედოს მომჩივნის ან დაზარელებულის თხოვნის საფუძველზე. კომისიაში სახალხო დამცველის როლი უნდა გადაიხედოს.

74. მეორე მხრივ, არ არსებობს რაიმე დანაწესი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება იმ სავარაუდო დაზარალებულის ჩართვა, რომლის წინააღმდეგაც ჩადენილ დანაშაულშიც მსჯავრდებული არის მომჩივანი. რამდენადაც მხოლოდ წარდგენილი საქმის შესწავლა ხდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეექვსე მუხლის ფარგლებში, რაც ანალოგიურია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასავლელი პროცედურის, დაზარელებულის არ ჩართვა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ მაშინ თუ სააპელაციო სასამართლოში საქმის განახლების დროს დაცული იქნება დაზარალებულის უფლება.

75. მესამე პუნქტით განსაზღვრულია, რომ საქმის განხილვის შედეგად კოლეგია იღებს დასკვნას მართლმსაჯულების ხარვეზის არსებობა-არარსებობის შესახებ. ეს დასკვნა უნდა იყოს შეზღუდული პროცედურის სამართლიანობის შეფასებით და მისი მიზანი არ უნდა იყოს სასამართლოს თავდაპირველი გადაწყვეტილების უკანონოდ გამოცხადება. სხვა მხრივ, ეს არ იქნებოდა საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კონსტიტუციის 82.2 მუხლის შესაბამისი, რომელიც განსაზღვრავს, რომ “სასამართლო აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსთვის...”

76. მე-20 მუხლი არ განმარტავს შეიძლება თუ არა კომისიის დასკვნის სასამართლოში გასაჩივრება. იმ შემთხვევაში თუ კომისიის დასკვნა არის სააპელაციო სასამართლოში საქმის განახლების საფუძველი, კანონმა უნდა დააზუსტოს, რომ დასკვნა საბოლოოა.

მუხლი 21. კომისიის დასკვნის გადაგზავნა მომჩივნისთვის

77. 21-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ კომისიის დასკვნა ეგზავნება მომჩივანს და `თუ კომისიის დასკვნა მართლმსაჯულების ხარვეზის არსებობას ეხება, მომჩივანს შეუძლია, მისი მიღებიდან 2 თვის ვადაში, შუამდგომლობით მიმართოს უფლებამოსილი სააპელაციო სასამართლოს მართლმსაჯულების ხარვეზების

დამდგენ პალატას, რომელიც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გადასინჯავს სასამართლოს განაჩენს აღნიშნული კოდექსით საქმის არსებითი განხილვისთვის დადგენილი ნორმების შესაბამისად.”

78. სისხლის სამართლის ამჟამინდელი კოდექსი არ შეიცავს რაიმე მითითებას „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კოლეგიის“ ან 310-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესახებ. ეს ნიშნავს, რომ მოსალოდნელია კოდექსში ცვლილებები; ეს ცვლილებები კი არც ვენეციის კომისიისთვის და არც დირექტორატისთვის არ წარუდგენიათ.

79. აშკარა მიზეზებიდან გამომდინარე, სასამართლო რომელიც გადასინჯავს განაჩენს არ უნდა იყოს იგივე, რომელმაც გამოიტანა სადავო გადაწყვეტილება. როგორ შეიძლება ეს მნიშვნელოვანი პრინციპი გამოყენებულ იქნეს საქართველოში მაშინ, როდესაც მის მართლმსაჯულებას კვლავაც შეზღუდული მოცულობა აქვს. ასევე არსებითია, რომ არც ერთი `მართლმსაჯულების ხარვეზის შემსწავლელი კომისია” სპეციალურად არ შეიქმნება იმ მიზნით რომ ხელახლა შეისწავლოს სახელმწიფო კომისიის მიერ სასამართლოსთვის დაბრუნებული საქმეები. სპეციალური კოლეგიების შექმნა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 83.4 მუხლს, რომლითაც „აკრძალულია საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა.”

V. დასკვნა

80. საქართველოს პოლიტიკური პატიმრების შესახებ ამნისტიის კანონის თაობაზე დასკვნაში ვენეციის კომისიამ დაადგინა, რომ „ამნისტიის კანონი არ შეესაბამებოდა კანონის უზენაესობის ფუნდამენტურ პრინციპს, კერძოდ კანონიერებას (მათ შორის გამჭვირვალობას), თვითნებობის აკრძალვას, არა-დისკრიმინაციასა და კანონის წინაშე თანასწორობას“. მან ასევე აღნიშნა, რომ თუ კი საქართველოს ხელისუფლება მიჰყვება იმ პროცესს, რომელიც დაიწყო, მან უნდა შექმნას „სასამართლოს შემცველი მექანიზმი, რომელიც დაადგენს ამ საქმეებს. ამ მექანიზმში გამოყენებული კრიტერიუმები უნდა გასაჯაროვდეს, მათ შორის წარსულში გამოყენებული კრიტერიუმებიც.“ მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შესახებ კანონი სწორედ ასეთი მექანიზმი უნდა იყოს.

81. არასამართლებრივი ორგანოს მიერ შესაძლო მასობრივი სამართლებრივი დარღვევების შესწავლა კითხვის ნიშნებს აჩენს ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორცაა უფლებამოსილების დანაწილება და საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი სასამართლო დამოუკიდებლობა, ასევე შესაძლოა შესწავლა წინააღმდეგობაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებთან. საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული მიდგომა, რომ ამ პროცესში ჩართოს არასასამართლო ორგანო მიჰყვება მათ შეფასებას, რომ მთლიანი სასამართლო და პროკურატურა მონაწილეობას იღებდა მართლმსაჯულების სავარაუდო ხარვეზებში. თუმცა, იმ შემთხვევაშიც თუ საქართველოს ხელისუფლებას უნდა ამ მიმართულებით წასვლა მიუხედავად კონსტიტუციური ბარიერებისა და პრინციპული პრობლემებისა, არსებობს წითელი ხაზი, რომელიც არ უნდა გადაიკვეთოს, თუ საქართველოს არ უნდა კანონის უზენაესობის სტანდარტებზე

უარის თქმა: სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დამდგენი ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ.

82. აღსანიშნავია, რომ ვენეციის კომისია და დირექტორატი არ გამოხატავს თავის აზრს საქართველოში მართლმსაჯულების ხარვეზების არსებობის ან მათი სისტემატიურობისა და დროებითი კომისიის შექმნის მოთხოვნის თაობაზე. მათი ერთადერთი მიზანი არის წვლილი შეიტანონ, რომ შემოთავაზებული მექანიზმი შესაძლებლობის ფარგლებში შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ ხელისუფლების დანაწილებისა და მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის პრინციპებს. თუმცა, ვენეციის კომისიასა და დირექტორატს სურს აღნიშნოს, რომ მას რთულად მიაჩნია კანონის უზენაესობის იმპერატიულ დანაწესთან თანხვედრა, რომელიც უნდა მიესადაგოს სისხლის სამართლის საქმეების გადახედვის ნებისმიერ პროცესს დღევანდელი საქართველოს სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით, კერძოდ როგორცაა უკიდურესად პოლარიზებული პოლიტიკური შინაარსი და მართლმსაჯულების შეზღუდული ფარგლები. ამ კონტექსტში, ვენეციის კომისია და დირექტორატი აღნიშნავენ რადიკალურად განსხვავებულ კონტექსტებს, რომლის ფარგლებშიც ევროპაში მოქმედებენ სისხლის სამართლის საქმეების გადახედვის სხვა კომისიები.

83. აღნიშნულ საფუძვლებზე დაყრდნობით ვენეციის კომისია და დირექტორატი რეკომენდაციას იძლევიან, რომ:

1. ხელახლა გახსნილ საქმეებზე გადაწყვეტილება მხოლოდ სასამართლომ უნდა გამოიტანოს. ამიტომ, ტერმინი „დადგენა“ უნდა შეიცვალოს უფრო ნეიტრალური ტერმინით, როგორცაა „შესწავლა“ ან სხვა მსგავსი;
2. ფაქტი, რომ კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მომჩივანს უფლება აქვს მოითხოვოს საქმის აპელაციით განახლება უნდა გაიწეროს კანონის დასაწყისში (1 მუხლი);
3. კომისიამ კონცენტრაცია უნდა მოახდინოს ინდივიდუალურ საქმეებზე და არ უნდა მოახსენოს მართლმსაჯულების სისტემური ხარვეზების შესახებ;
4. საქმიანობის ანგარიში უნდა წარედგინოს მთავრობას კომისიის მუშაობის საბოლოოდ დასრულების შემდეგ;
5. კომისიის წევრებს უნდა ჰქონდეთ მხოლოდ ფუნქციონალური იმუნიტეტი (მუხლი 4);
6. მეოთხე მუხლს უნდა დაემატოს გაუმჟღავნებლობის წესები;
7. კომისიას უნდა ჰქონდეს ერთჯერადი არაგანგრძობადი ვადა (მუხლი 6) მაგრამ პარლამენტს უნდა შეეძლოს კომისიის მანდატის შეწყვეტა თუ არ დარჩება მეტი განსახილველი საქმე;
8. კომისიის წევრები არ უნდა დასახელდნენ საპარლამენტო ფრაქციების მიერ და არ უნდა იყვნენ პოლიტიკური პარტიის წევრები (მუხლი 6) და უნდა განხორციელდეს კანდიდატების საჯარო მოწვევა;
9. კომისიას უნდა შეეძლოს მომჩივნისთვის რჩევის ან ინსტრუქციის მიცემა; საჭიროების შემთხვევაში მომჩივანს უნდა გაეწიოს იურიდიული დახმარება;

10. კომისიის დროებითი კომპეტენცია უნდა იყოს გამართლებული ან უნდა გადაიხედოს (მუხლი 17.4);
 11. საჩივრების წარდგენის ვადა უნდა გახანგრძლივდეს და წარდგენის დაწყების თარიღი უნდა გამოქვეყნდეს მედიაში და ციხეებში (მუხლი 17);
 12. საქმეები უნდა გადანაწილდეს შემთხვევითობის პრინციპით, როგორც კოლეგიებს, ისე მომხსენებლებს შორის (მუხლი 19);
 13. კომისიას არ უნდა შეეძლოს პროკურატურისთვის დახმარების თხოვნით მიმართვა (მუხლი 19);
 14. კომისიამ მხოლოდ დასკვნა უნდა მიიღოს, რომელიც აღნიშნავს, რომ კომისიას აქვს „გონივრული ეჭვი“ მართლმსაჯულების ხარვეზის არსებობის თაობაზე და აღნიშნული ხარვეზის არსებობა მხოლოდ სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომელსაც თავის მხრივ აქვს კომისიის დასკვნის საფუძველზე საქმის განახლების უფლებამოსილება (მუხლი 20);
 15. „მართლმსაჯულების ხარვეზების სპეციალური კოლეგიის“ შექმნა საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნის კონსტიტუციური აკრძალვის საწინააღმდეგოა.
84. ვენეციის კომისია და დირექტორატი კვლავაც რჩებიან საქართველოს ხელისუფლების განკარგულებაში ამ და სხვა საკითხების თაობაზე დახმარების აღმოჩენის მიზნით.

[1] CDL-AD(2013)009, პოლიტიკური პატიმრების ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის თაობაზე ვენეციის კომისიის მიერ მის 94-ე პლენარულ სესიაზე მიღებული დასკვნა (ვენეცია, 8-9 მარტი 2013).

[2] CDL-AD(2013)009, პარა 58.

[3] CDL-AD(2013)009, პარა 59.

[4] <http://www.justice.gov.uk/about/criminal-cases-review-commission>

[5] <http://www.gjenopptakelse.no/index.php?id=31>

[6] CDL-AD(2010)004, მოხსენება იუსტიციის სისტემის დამოუკიდებლობის თაობაზე, ნაწილი I: მოსამართლეების დამოუკიდებლობა მიღებული ვენეციის კომისიის მიერ მის 82-ე პლენარულ სესიაზე (ვენეცია, 12-13 მარტი 2010), პარაგრაფი 61.

[7] გამოაშკარავების პროცესისთვის, ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ „ის მოხარული იქნება თუ გამოაშკარავების ყველა ღონისძიება იქნება დროებითი ხასიათის და ასევე მიზანშეწონილად მიიჩნევს გამოაშკარავების ფიქსირებულ დასასრულის გათვალისწინების პროცესს. (სასამართლოს მეგობარი მოკლედ საჯარო მოხელის უფლებამოსილების ფარგლების დადგენის კრიტერიუმების შესახებ, დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა და გამოქვეყნება, სახელმწიფო უშიშროების ძალებთან თანამშრომლობა (“ლუსტრაციის კანონი”) მაკედონიის ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკის”, CDL-AD(2012)028, პარაგრაფი 33).

[8] ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო – პრეს რელიზი ინგლისურ ენაზე გადაწყვეტილებაზე, 2 BvR 2628/10, 2 BvR 2883/10, 2 BvR 2155/11, 19 მარტი 2013: <http://www.bundesverfassungsgericht.de/pressemitteilungen/bvg13-017en>.

